

## 22-23

©გიორგი ახალკაციშვილი, მე-11 კლასის ტესტები

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

1) იულიუს კეისარი, სენატის საბჭოში, მოკლეს...

ა. ძვ.წ 48 წ., ბ. ძვ.წ 44 წ., გ. ძვ.წ 60 წ., დ. ძვ.წ 88 წ.

2) იულიუს კეისრის მკვლელობის შემდეგ სენატს უნდოდა...

ა. ახალი ტრიუმვირატის დამყარება, ბ. „ოთხასთა“ საბჭოს მმართველობის დამყარება,

გ. მეფის ხელისუფლების დაბრუნება, დ. რესპუბლიკის აღდგენა.

3) კეისრის შემდეგ რომს მართავს...

ა. ოქტავიანე, ბ. მარკუს ანტონიუსი,

გ. მარკუს ავრელიუსი, დ. კარაკალა.

4) ოქტავიანემ მარკუს ანტონიუსი დაამარცხა და ერთპიროვნული მმართველობა დაამყარა...ა

ა. ძვ.წ 48 წ., ბ. ძვ.წ 44 წ., გ. ძვ.წ 31 წ., დ. ძვ.წ 28 წ.

5) ავგუსტუსის მმართველობის წლებია...

ა. ძვ.წ 30 - ახ.წ 10 წწ, ბ. ძვ.წ 30 - 12 წწ, გ. ძვ.წ 31 - ძვ.წ 14 წწ, დ. ძვ.წ 31 - ახ.წ 14 წწ.

6) ავგუსტუსის მმართველობას რომში ეწოდა...

ა. „დემოკრატია“, ბ. „ოქროს ხანა“, გ. „ტირანია“, დ. „უმოქმედობის ხანა“.

7) განმარტეთ - Pax Romana :

8) ავგუსტუსის კარზე მოღვაწე პოეტები იყვნენ...

ა. გნეუს ნავიუსი და ვერგილიუსი, ბ. ლუკრეციუსი და ოვიდიუსი,

გ. ოვიდიუსი და ვერგილიუსი, დ. ოვიდიუსი და ჰორაციუსი.

9) აღმოსავლეთში ყველაზე შორ ტერიტორიებზე რომმა მიაღწია...

ა. მარკუს ანტონიუსის მოღვაწეობის დროს, ბ. ავგუსტუსის მმართველობის დროს,

გ. კარაკალას მმართველობის დროს, დ. ტრაიანეს მმართველობის დროს.

10) ახ.წ 98-117 წწ. მოღვაწეობდა...

ა. მარკუს ანტონიუსის, ბ. კარაკალა, გ. ავგუსტუსი, დ. ტრაიანე.

11) რომის სამმართველოს შვილზე მემკვიდრეობის სისტემა შეიქმალა და დამყარდა...

12) ნაშვილები კაისრები იყვნენ...

ა. ტრაიანე და კარაკალა, ბ. ავგუსტუსი და მარკუს ავრელიუსი,

გ. მარკუს ავრელიუსი და ტრაიანე, დ. მარკუს ანტონიუსი და ტრაიანე.

13) შესანიშნავი მხედართმთავრის და ფილოსოფოსის მარკუს ავრელიუსის მოღვაწეობის წლებია...

ა. 284-305 წწ, ბ. 161-180 წწ, გ. 198-217 წწ, დ. 98-117 წწ.

14) კარაკალას მოღვაწეობის წლებია...

ა. 284-305 წწ, ბ. 161-180 წწ, გ. 198-217 წწ, დ. 98-117 წწ.

15) კარაკალას ედიქტი გამოიცა...

ა. 212 წ., ბ. 213 წ., გ. 216 წ., დ. 305 წ.

16) რას ისახავდა მიზნად კარაკალას ედიქტი და რა შედეგები გამოიწვია მან? (1 ქ)...

17) რომში კრიზისის პროცესი იწყება...

ა. ძვ.წ III ს-ში, ბ. ახ.წ III ს-ში, გ. ახ.წ IV ს-ში დ. ძვ.წ V ს-ში.

18) იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობის წლებია...

ა. 284-305 წწ, ბ. 161-180 წწ, გ. 198-217 წწ, დ. 98-117 წწ.

19) აბსოლიტურ ბატონს ძველ რომში ეწოდებოდა...

ა. ჰაბემუს, ბ. დომინუს, გ. პლებეუს, დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

20) დიოკლეტიანე ისტორიაში შევიდა, როგორც...

ა. ქრისტიანების მტერი, ბ. კერპთაყვანისმცემლების მტერი,

გ. ებრაელთა მტერი, დ. ა და ბ არის სწორი.

21) დიოკლეტიანეს დროს იმპერია დაიყო...

ა. ორ ნაწილად, ბ. ოთხ ნაწილად, გ. ექვს ნაწილად, დ. რვა ნაწილად.

22) რამდენ ოლქს შეადგენდა დაყოფილი იმპერია?

ა. 4 ოლქს, ბ. 8 ოლქს, გ. 11 ოლქს და ერთ მეტროპოლიას, დ. 12 ოლქს.

23) ტეტრარქია ეწოდება...

24) შეაფასეთ დიოკლეტიანეს მმართველობა (1ქ)...

25) რომის მეურნეობის ძირითადი დარგებს წარმოადგენდა (1ქ) :

26) რომში მონათა დიდი რაოდენობა აღინიშნ...

ა. ძვ.წ III ს-ში, ბ. ახ.წ II ს-ში, გ. ახ.წ I ს-ში დ. ძვ.წ I ს-ში.

27) რომში ყველაზე დიდი მონათა აჯანყება მოხდა, რომელსაც სპარტაკი მეთაურობდა...

ა. ძვ.წ 73-71 წწ., ბ. ახ.წ 71-73 წწ., გ. ძვ.წ 74-69 წწ, დ. ახ.წ 72-74 წწ.

28) დაწერეთ სპარტაკის საბრძოლო მოქმედებები რომის წინააღმდეგ და იმსჯელეთ მის მოღვაწეობაზე, პოლიტიკაზე (5 ქ)(არგუმენტირებული მსჯელობით გაამართლეთ ან უარყავით მისი სტრატეგია).

29) თქვენი აზრით რა მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიაში მცხოვრები ყველა ადამიანისათვის რომის მოქალაქეობის მინიჭებას? (2 ქ).

30) იმსჯელეთ, რაში გამოიხატებოდა რომაული ნაგებობების გრანდიოზულობა (2ქ).

32) ქართლის სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობაში, დიდი ცვლილებები განხორციელდა...

ა. ძვ.წ I ს-ში, ბ. ძვ.წ II ს-ში, გ. ძვ.წ III ს-ში, დ. ახ.წ IV ს-ში.

32) მახლობელ აღმოსავლეთში ქართლს კარგი ურთიერთობა ჰქონდა \_\_\_\_\_, სანამ ეს უკანასკნელი არ დასუსტდა...

ა. პართიასთან, ბ. დიდ სომხეთთან, გ. სელევკიდების ირანთან, დ. რომთან.

33) პართია წარმოიქმნდა...

ა. რომის დასუსტების შედეგად, ბ. სელევკიდური ირანის დასუსტების შედეგად,  
გ. დიდ სომხეთის დასუსტების შედეგად, დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

34) პართიის მართვა-გამგებლობას სათავეში ჩაუდგნენ...

- ა. ჯაფარიანთა დინასტია, ბ. ართუკიანთა დინასტია,  
გ. მაკედონელთა დინასტია. დ. არშაკიანთა დინასტია.

35) სელევკიდური ირანი რომთან დამარცხდა.

- ა. ახ. წ 190 წელს, ბ. ახ. წ 180 წელს, გ. ძვ.წ 190 წელს, დ. ძვ.წ 179 წ.

36) სელევკიდების დამარცხებით ყველაზე დიდი სარგებელი ნახა...

- ა. ქართლმა, ბ. რომმა, გ. სომხეთმა, დ. სასანიანთა ირანმა.

37) ჩამოწერეთ სომხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ორი სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს სამხრეთ ტერიტორიაც შევიდა :

1. 2.

38) ქართლის სამეფოს აღმოსავლეთით, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე წარმოიქმნა...

- ა. პონტოს სამეფო, ბ. ალბანეთი, გ. პართია, დ. დიდი სომხეთი.

39) ქართლის სამეფოს დასავლეთიდან გაუმეზობლდა...

- ა. პონტოს სამეფო, ბ. ალბანეთი, გ. პართია, დ. დიდი სომხეთი.

40) პონტოს სამეფო მოიცავდა...

- ა. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს, ბ. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს,  
გ. შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს, დ. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს.

41) პონტოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შედგებოდა...

- ა. აღმოსავლურ-ქართული ტომებით, ბ. ჩრდილოეთ-რომაული ტომებით,  
გ. დასავლურ-ქართული ტომებით, დ. აღმოსავლეთ-პართიული ტომებით.

42) პონტოს სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა...

- ა. ძვ.წ II - ახ.წ I სს, ბ. ძვ.წ II - ძვ.წ I სს, გ. ძვ.წ IV- ახ.წ I სს, დ.ძვ.წ V- ახ.წ I სს,

43) პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის მეფობის წლებია...

- ა. ძვ.წ 110 - ახ.წ 60 წწ, ბ. ძვ.წ 111 - ახ.წ 66 წწ, გ. ძვ.წ 111 - ახ.წ 63 წწ, დ. ძვ.წ 111 - ძვ.წ 63 წწ.

**44) მითრიდატეს დაპყრობებს შეეხო...**

- ა. შავი ზღვის სამხრეთ და დასავლეთის სანაპიროები, ასევე კოლხეთის ტერიტორიაც.
- ბ. შავი ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთის სანაპიროები, ასევე პართიის ტერიტორია.
- გ. შავი ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროები, ასევე კოლხეთის ტერიტორიაც.
- დ. შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროები, ასევე რომის აღმოსავლეთ ტერიტორიაც.

**45) დიდი არმენია ეწოდებოდა...**

- ა. აზერბაიჯანს, ბ. ალბანეთს, გ. კილიკიის სომხეთს, დ. სომხეთს.

**46) მითრიდატე VI-მ დიდი არმენიის მეფესთან ერთად (რომელიც მისი სიძეც იყო) დაიწყო ბრძოლა აღმოსავლეთში რომის შემოტევების წინააღმდეგ. ვინ იყო იმ დროს (ძვ. წ. 95-55 წწ) სომხეთის მეფე.**

- ა. ტიგრან I, ბ. ტიგრან II, გ. ართავაზდ II, დ. ალექსანდრე გელიოსი.

**47) აღმოსავლეთში წესრიგის დასამყარებლად და სომხეთ-პონტოს მეფეების წინააღმდეგ რომაულ ლაშქარს სათავეში ჩაუდგა...**

- ა. კრასუსი, ბ. იულიუს კეისარი, გ. გნეუს პომპეუსი, დ. რადამისტი.

**48) სომხეთისა და პონტოს სამეფოები იძულებულნი გახდნენ, რომ რომაელებს დამორჩილებოდნენ. მათი დამარცხების შემდეგ რომის ჯარებმა გეზი აიღეს...**

- ა. პართიისაკენ, ბ. დიდი სომხეთისკენ, გ. პონტოს სამეფოსკენ, დ. იბერიისკენ.

**49) რომელ წელს მოადგა რომაელთა ჯარი ქართლს (იბერიას)?**

- ა. ძვ.წ 63 წელს, ბ. ძვ.წ 65 წელს, გ. ძვ.წ 70 წელს, დ. ძვ.წ 62 წელს.

**50) რომაელთა ქართლში ლაშქრობის დროს მეფე იყო არტაგი, რომელიც მოღვაწეობდა...**

- ა. ძვ. წ. 78 – ძვ. წ. 63, ბ. ძვ. წ. 78 – ძვ. წ. 60, გ. ძვ. წ. 75 – ძვ. წ. 63, დ. ძვ. წ. 70 – ძვ. წ. 63.

**51) დაწერეთ რა მოიმოქმედეს ქართველებმა, როდესაც რომაელები მოადგნენ ქართლს (იბერიას) და რა შედეგით დასრულდა ეს ლაშქრობა? (5ქ).**

52) წყაროთა მონაცემების მიხედვით, სულ რამდენი ქართველი დაიღუპა რომთან ომში და რამდენი ჩავარდა ტყვედ?

ა. 9 ათასი ქართველი დაიღუპა და 10 ათასი ტყვედ ჩავარდა,

ბ. 8 ათასი ქართველი დაიღუპა და 10 ათასი ტყვედ ჩავარდა,

გ. 10 ათასი დაიღუპა და 7 ათასი ჩავარდა ტყვედ,

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

53) რა მოიმოქმედა არტაგმა რომის სარდალთან დაზავების თხოვნისათვის? (2ქ)

54) დაწერეთ ზავის პირობები და თქვენი აზრით დაასაბუთეთ, თუ როგორ შეასრულა დაკისრებული მოვალეობები ორივე მხარეს... (2 ქ).

55) დაწერეთ, ხელშეკრულების შედეგად რა ცვლილება განხორციელდა სომხეთში (2ქ)...

56) ქართლის სამეფო შესამჩნევლად ძლიერდება...

ა. ძვ.წ I ს-ში,    ბ. ახ.წ I ს-ში,    გ. ძვ.წ III ს-ში,    დ. ახ.წ IV ს-ში.

57) რამ გამოიწვია იმ დროს ქართლის (იბერიის) ასეთი დაწინაურება (3 ქ)?

58) სომხეთის უშუალო შემოერთების მიზნით იქ თავისი ვაჟი გაამეფა (რომელიც გეგმაც მალევე ჩაიშალა)...

ა. რადამისტმა, ბ. ფარსმან I-მა, გ. ფარსმან II-მ, დ. ვესპასიანემ.

59) 52 წელს, დამარცხებული სომხეთის ტერიტორიაზე გაამეფეს...

ა. რადამისტი, ბ. ფარსმან I, გ. ფარსმან II, დ. ვესპასიანემ.

60) დამარცხებულ სომხეთზე ძალაუფლება გაინაწილეს...

ა. რომმა და სელევკიდურმა ირანმა, ბ. რომმა და იბერიამ,

გ. იბერიამ და პართიამ, დ. რომმა და პართიამ.

61) იმ პერიოდიში ქართლისა და რომის ურთიერთობაზე ცნობებს ვიგებთ...

ა. ატენი-სიონის წარწერით, ბ. არმაზის ბილინგვით,

გ. ვესპასიანეს წარწერით, დ. უცნობი რომაელი ისტორიკოსის მეშვეობით.

62) იმპერატორ ვესპასიანეს მოღვაწეობის წლებია...

ა. 69-89 წწ, ბ. 69-80 წწ, გ. 79-89 წწ, დ. 69-79 წწ.

63) ვესპასიანეს წარწერა თარიღდება...

ა. I საუკუნით, ბ. II საუკუნით, გ. III საუკუნით, დ. IV საუკუნით.

64) რომელ წლებში მოღვაწეობდა ფარსმან II ქველი?


ა. 116-129 წწ, ბ. 115-119 წწ, გ. 116-128 წწ, დ. 117-129 წწ.

65) იმპერატორმა ადრიანემ მცირე აზიაში ყოფნისას თავისთან მიიწვია აღმოსავლეთ ტერიტორიების მმართველები, მათ შორის განსაკუთრებულად მიიწვიეს ქართლის მეფე ფარსმან II. ეს განხორციელდა...

ა. 128 წელს, ბ. 130 წელს, გ. 138 წელს, დ. 140 წელს.

66) მოკლედ დაწერეთ ფარსმან II-ის პოლიტიკა რომთან მიმართებაში. მისი სტუმრობა რომში და ამ ვიზიტის შედეგები (5ქ)...





(2) 34.1. რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) 34.2. რუკის მიხედვით, რომელი მხრიდან შემოდის პომპეუსი ქართლში?

(1) 34.3. რუკის მიხედვით, რომელი სამეფოები ესაზღვრებოდა ქართლს?

(3) 34.4. რუკის მიხედვით, სად და რომელ ქალაქებში შევიდა რომის იმპერიის ჯარი?

(1) 34.6. რუკის მიხედვით, კიდეც რომელ სახელმწიფოსთან მოუხდა რომს შეტაკებები?

68) II საუკუნეში რომის იმპერატორმა ადრიანემ ქართლის მეფე ფარსმანი თავისთან დაიბარა. მეფემ თათბირი მოიწვია და რჩევა დიდებულებს კითხა. ნაწილი მეფის წასვლის მომხრე იყო, ნაწილი კი - წინააღმდეგი.

(1) მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც იმპერატორთან მეფის წასვლის მომხრე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

(1) მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც იმპერატორთან მეფის წასვლის მოწინააღმდეგე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

69) 212 წელს რომის იმპერატორმა კარაკალამ გამოსცა ედიქტი, რომლის თანახმადაც, რომის იმპერიაში მცხოვრებ ყველა თავისუფალ ადამიანს რომის მოქალაქეობა ენიჭებოდა. იმპერატორის გარემოცვის ერთი ნაწილი ამ ედიქტის მიღების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

(1) მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც იმპერატორის მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

(1) მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც იმპერატორის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

70) დაალაგეთ ქრონოლოგიურად რომის სახელმწიფოში განვითარებული მოვლენები (3ქ):

1. ტეტრარქიის შექმნა
2. I ტრიუმვირატის ჩამოყალიბება
3. პრინციპატის დამყარება.